

უკან დაბრუნება (/ka/document/search? query=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D+%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1+%E1% filter-text=&query\_target=title&type=&main&group=&issuer=&number=&signing\_date\_fr=5Bdate%5D=&signing\_date\_to=5Bdate%5D=&registration\_code=&publishing\_date\_fr=5Bdate%5D=&publishing\_date\_to=5Bdate%5D=&GxPR7pqBwNw83DxDk0EcFtUWrkBDQw2IFRAEaIk&form\_token=StrofelFlowR46JohMFBxsf9Irs4ky-aHr7YZGdUdY&form\_id=\_document\_search\_form)

კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო)



საქართველოს მთავრობის

დადგენილება № 509

2011 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განუული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევენების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განუული მომსახურების საფასურის განაკვეთები, საფასურის გადახდევენების წესი და მომსახურების ვადები, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2012 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

შეტანილი ცვლილებები:

- 1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის დადგენილება №29 – ვებგვერდი, 30.01.2012 წ.
2. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 ივნისის დადგენილება №207 – ვებგვერდი, 14.06.2012 წ.
3. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 ივლისის დადგენილება №251 – ვებგვერდი, 13.07.2012 წ.
4. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 აგვისტოს დადგენილება №328 – ვებგვერდი, 13.08.2012 წ.
5. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის დადგენილება №356 – ვებგვერდი, 29.07.2016წ.

დანართი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განუული მომსახურების საფასურის განაკვეთები, საფასურის გადახდევენების წესი და მომსახურების ვადები

მუხლი 1

1. ეს დანართი განსაზღვრავს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განუული მომსახურებისათვის საფასურების ოდენობას, მომსახურების ვადებს და საფასურის გადახდისა და საფასურის უკან დაბრუნების წესს.

2. დაინტერესებული პირი ვალდებულია გადაიხადოს ამ დანართით განსაზღვრული საფასური.

3. ამ დანართით განსაზღვრული ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლისთანავე. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესი არ ვრცელდება ამ დანართით განსაზღვრული დაჩქარებული მომსახურების განხორციელებაზე.

5. ამ დანართის მე-2 მუხლის „ა“ – „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საფასური გადაიხდება ერთეულ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, ერთეული ნივთისა და ერთეული უფლების (საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის) მიხედვით.

6. ამ დანართის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საფასური გადაიხდება ერთეული უფლების მიხედვით.

7. ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საფასური გადაიხდება ერთეული ნივთისა და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის მიხედვით.

8. ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მენარმეთა და არასამენარმეთა (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ინფორმაციის გაცემისთვის საფასური გადაიხდევენება ერთეულ სუბიექტზე, გარდა სუბიექტის სამართლებრივი ფორმის, საიდენტიფიკაციო კოდისა და საფორმო სახელწოდების შესახებ ინფორმაციისა.

მუხლი 2

სააგენტოს მიერ განუული სარეგისტრაციო მომსახურებისათვის დაწესებულია შემდეგი ვადები და განსაზღვრულია შემდეგი საფასურის განაკვეთები:

ა) უძრავ ნივთზე უფლების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის ცვლილებების, ასევე მიწის მიწნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის რეგისტრაცია – 4 სამუშაო დღის ვადაში – 50 ლარი, გარდა ამ დანართის მე-6 მუხლის „ა“ და „ს“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) აღნაგობის უფლებაზე იპოთეკის რეგისტრაცია – 4 სამუშაო დღის ვადაში – 50 ლარი;

გ) მართლმომიერ მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, საკუთრების უფლების აღიარებით, საკუთრების უფლების რეგისტრაცია – 4 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო მარეგისტრირებული ორგანოს დასაბუთებული გადამყვებით შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის ვადაში – 300 ლარი;

დ) (ამოღებულია – 28.07.2016, №356);

ე) (ამოღებულია – 12.07.2012, №251);

ვ) „ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონით სააგენტოს კომპეტენციისთვის მიკუთვნილებული უძრავი ქონების ლეგალიზაციის რეგისტრაცია – 14 სამუშაო დღის ვადაში – 500 ლარი;

8) იპოთეკის მონაწილის გაცემის, მასში ცვლილების, მასზე ნებისმიერი სამართლებრივი ხასიათის შენიშვნის რეგისტრაცია – 3 სამუშაო დღის ვადაში – 50 ლარი;

თ) ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და მათში ცვლილების რეგისტრაცია – 3 სამუშაო დღის ვადაში – 20 ლარი;

ი) საბანკო გარანტიის წარმოშობის და მასში ცვლილების რეგისტრაცია – დაუყოვნებლივ – 10 ლარი;

კ) მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია – დაუყოვნებლივ – 30 ლარი;

ლ) სარეგისტრაციოდ წარდგენილ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დადასტურება – დაუყოვნებლივ – 5 ლარი;

მ) შენარჩუნებული სუბიექტის, გარდა ინდივიდუალური მენარმისა, და არასამენარჩუნებელი (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია – 1 სამუშაო დღის ვადაში – 100 ლარი;

ნ) ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია, გარდა ამ დანართის მე - 6 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, – 1 სამუშაო დღის ვადაში – 20 ლარი;

ო) სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელ სანარმოდ ან/და დისტრიბუტორად რეგისტრაცია, რომელიც ასევე მოიცავს იმ სანარმოდ რეგისტრაციას, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია სურსათის/ცხოველის საკვების გადაამუშავებასთან, რეალიზაციასთან, საკვებწარმოებასთან, აგრეთვე რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია – 1 სამუშაო დღის ვადაში – 10 ლარი;

პ) შენარჩუნება და არასამენარჩუნებელი (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრირებულ მონაცემებში სუბიექტის ელექტრონული ფოსტის მისამართის, ტელეფონის ნომრისა და იურიდიული მისამართისგან განსხვავებული მისამართის რეგისტრაციის, ასევე რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების ან შეწყვეტის რეგისტრაცია – 1 სამუშაო დღის ვადაში – 20 ლარი;

ჟ) თუ შენარჩუნება და არასამენარჩუნებელი (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრირებული მონაცემების დაქვემდებარებული რამდენიმე მონაცემის რეგისტრაცია ერთდროულად არის მოთხოვნილი და ამ დადგენილებით მომსახურებისთვის დადგენილია განსხვავებული ვადები და საფასური, რეგისტრაცია ხორციელდება მოთხოვნილი მომსახურებისთვის დადგენილ მაქსიმალურ ვადაში და საფასურით.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 ივნისის დადგენილება №207 – ვებგვერდი, 14.06.2012წ.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 ივლისის დადგენილება №251 – ვებგვერდი, 13.07.2012წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის დადგენილება №356 – ვებგვერდი, 29.07.2016წ.

**მუხლი 3**

1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის დანესხვადებულია შემდეგი ვადები და განსაზღვრულია შემდეგი საფასურის განაკვეთები:

ა) საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მომზადება – 1 სამუშაო დღის ვადაში – 15 ლარი, ხოლო თუ მოთხოვნილია განხორციელდეს ელექტრონულად, ინტერნეტის საშუალებით – 1 სამუშაო დღის ვადაში – 10 ლარი;

ბ) საკადასტრო გეგმის მომზადება – 1 სამუშაო დღის ვადაში – 5 ლარი;

გ) საკადასტრო რუკის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში;

გ.ა) ქალაქში შესრულებული ვერსიისა – 1 გვერდი – 10 ლარი;

გ.ბ) ელექტრონული ვერსიისა – 10 000 მ<sup>2</sup> (1 ჰა)-ზე – 5 ლარი;

დ) საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ ცნობის მომზადება – 1 სამუშაო დღის ვადაში – 7 ლარი;

ე) მოთხოვნის მომენტისათვის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის ან/და საკადასტრო გარანტიის/იპოთეკის შესახებ საჯარო რეესტრში დაცულ მონაცემებზე ინფორმაციის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 10 ლარი;

ვ) შენარჩუნება და არასამენარჩუნებელი (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ინფორმაციის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 10 ლარი;

ზ) მიწის მიწნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შესახებ სააგენტოში დაცული ინფორმაციის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 10 ლარი;

თ) ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან უძრავ ნივთზე უფლებებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 7 ლარი;

ი) ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან საინვენტარიზაციო გეგმის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 5 ლარი;

კ) ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან ცნობა-დახასიათების მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 5 ლარი;

ლ) არქივში დაცული დოკუმენტის ასლის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 1 გვერდი – 0,50 ლარი;

მ) ორთოფოტოს გაცემა – 4 სამუშაო დღის ვადაში;

მ.ა) ქალაქში შესრულებული ვერსიისა – 1 გვერდი – 10 ლარი;

მ.ბ) ელექტრონული ვერსიისა – 10 000 მ<sup>2</sup> (1 ჰა)-ზე – 5 ლარი;

ნ) შენარჩუნება და არასამენარჩუნებელი (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის ინგლისურ ენაზე მომზადება – 20 ლარი. აღნიშნული საფასური ემატება იმ მომსახურების საფასურს, რომელთან ერთადაც მოთხოვნილია ინგლისურენოვანი ამონაწერის მომზადება;

ო) (ამოღებულია – 12.07.2012, №251).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა ამონაწერი მზადდება რეგისტრაციის შედეგად, ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი – როცა საკადასტრო გეგმა მზადდება უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საკუთრების უფლებადარეგისტრირებულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შედეგად ან რეგისტრაციის შედეგად იცვლება ამ ნივთის საკადასტრო მონაცემები.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 ივნისის დადგენილება №207 – ვებგვერდი, 14.06.2012წ.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 ივლისის დადგენილება №251 – ვებგვერდი, 13.07.2012წ.

**მუხლი 4**

1. სააგენტო დაქირავებულ მომსახურებას ახორციელებს შემდეგი ვადებში და შემდეგი საფასურით:

ა) უძრავ ნივთზე უფლების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ტყის ფონდის საზღვრის ცვლილებების, ასევე მიწის მიწნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის რეგისტრაცია – განცხადების შეტანის დღეს – 200 ლარი, ერთ სამუშაო დღეში – 150 ლარი;

ბ) აღნავგობის უფლებებზე იპოთეკის რეგისტრაცია – განცხადების შეტანის დღეს – 200 ლარი, ერთ სამუშაო დღეში – 150 ლარი;

გ) შენარჩუნებული სუბიექტის, გარდა ინდივიდუალური მენარმისა, და არასამენარჩუნებელი (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია – განცხადების შეტანის დღეს – 200 ლარი;

დ) ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია – განცხადების შეტანის დღეს – 200 ლარი;

ე) საკადასტრო რუკის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 10 ლარი; საკადასტრო გეგმის მომზადება – 1 სამუშაო დღის ვადაში – 5 ლარი; საკადასტრო რუკის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 10 ლარი; ელექტრონული ვერსიისა – 10 000 მ<sup>2</sup> (1 ჰა)-ზე – 5 ლარი; ქალაქში შესრულებული ვერსიისა – 1 გვერდი – 10 ლარი; საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ ცნობის მომზადება – 1 სამუშაო დღის ვადაში – 7 ლარი; საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მომზადება – 1 სამუშაო დღის ვადაში – 15 ლარი; საკადასტრო გეგმის მომზადება – 1 სამუშაო დღის ვადაში – 5 ლარი; საკადასტრო რუკის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 10 ლარი; ელექტრონული ვერსიისა – 10 000 მ<sup>2</sup> (1 ჰა)-ზე – 5 ლარი; ელექტრონული ვერსიისა – 10 000 მ<sup>2</sup> (1 ჰა)-ზე – 5 ლარი; შენარჩუნება და არასამენარჩუნებელი (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ინფორმაციის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 10 ლარი; შენარჩუნება და არასამენარჩუნებელი (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ინფორმაციის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 10 ლარი; ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან უძრავ ნივთზე უფლებებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 7 ლარი; ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან საინვენტარიზაციო გეგმის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 5 ლარი; ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან ცნობა-დახასიათების მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 5 ლარი; არქივში დაცული დოკუმენტის ასლის მომზადება – 4 სამუშაო დღის ვადაში – 1 გვერდი – 0,50 ლარი; ორთოფოტოს გაცემა – 4 სამუშაო დღის ვადაში; ქალაქში შესრულებული ვერსიისა – 1 გვერდი – 10 ლარი; ელექტრონული ვერსიისა – 10 000 მ<sup>2</sup> (1 ჰა)-ზე – 5 ლარი; შენარჩუნება და არასამენარჩუნებელი (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის ინგლისურ ენაზე მომზადება – 20 ლარი. აღნიშნული საფასური ემატება იმ მომსახურების საფასურს, რომელთან ერთადაც მოთხოვნილია ინგლისურენოვანი ამონაწერის მომზადება; (ამოღებულია – 12.07.2012, №251).

- ე) საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მომზადება – განცხადების შეტანის დღეს 50 ლარი, ხოლო თუ მოთხოვნა განხორციელდა ელექტრონულად, ინტერნეტის საშუალებით – განცხადების შეტანის დღეს – 40 ლარი;
  - ვ) მოთხოვნის მომენტისათვის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის ან/და საკადასტრო გირავნობის/იპოთეკის შესახებ საჯარო რეესტრში დაცულ მონაცემებზე ინფორმაციის მომზადება, აგრეთვე შეწარმნა და არასამწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ინფორმაციის მომზადება, ასევე მიწის მიწნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შესახებ სააგენტოში დაცული ინფორმაციის მომზადება – განცხადების შეტანის დღეს – 30 ლარი, ერთ სამუშაო დღეში – 20 ლარი;
  - 8) ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან ცნობა-დახასიათების მომზადება – განცხადების შეტანის დღეს – 20 ლარი, ერთ სამუშაო დღეში – 15 ლარი;
  - თ) ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან საინვენტარიზაციო გეგმის მომზადება – განცხადების შეტანის დღეს – 20 ლარი, ერთ სამუშაო დღეში – 15 ლარი;
  - ი) საკადასტრო გეგმის მომზადება – განცხადების შეტანის დღეს – 20 ლარი;
  - კ) არქივში დაცული დოკუმენტის ასლის მომზადება – განცხადების შეტანის დღეს – ამ დანართის მე - 3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საფასურს დამატებული 5 ლარი;
  - ლ) ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან უძრავ ნივთზე უფლებებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება – განცხადების შეტანის დღეს – 30 ლარი, ერთ სამუშაო დღეში – 20 ლარი;
  - მ) რეგისტრირებულ მონაცემებში უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია – განცხადების შეტანის დღეს – 50 ლარი, ერთ სამუშაო დღეში – 30 ლარი;
  - მ<sup>1</sup>) შეწარმნა და არასამწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია განცხადების შეტანის დღეს – 50 ლარი;
  - ნ) შეწარმნა და არასამწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრირებულ მონაცემებში სუბიექტის ელექტრონული ფოსტის მისამართის, ტელეფონის ნომრისა და იურიდიული მისამართისაგან განსხვავებული მისამართის რეგისტრაციის, ასევე რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების ან შეწყვეტის რეგისტრაცია – განცხადების შეტანის დღეს – 50 ლარი.
2. ამ მუხლით განსაზღვრული საფასური და ვადები არ ვრცელდება სააგენტოს მიერ ავტორიზებული პირების მეშვეობით და საჯარო დანესებულების განცხადების საფუძველზე განხორციელებულ მომსახურებაზე.
3. სააგენტო ავტორიზებული პირების მეშვეობით და საჯარო დანესებულების განცხადების საფუძველზე მომსახურება შეიძლება განხორციელდეს ამ დანართის მე-2 და მე-3 მუხლებს ით განსაზღვრულ ვადებში ნებისმიერ დროს, მათ შორის, განცხადების შეტანის დღეს.
- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 ივნისის დადგენილება №207 – ვებგვერდი, 14.06.2012წ.*  
*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 ივლისის დადგენილება №251 – ვებგვერდი, 13.07.2012წ.*

**მუხლი 5**  
 ავტორიზაციასთან დაკავშირებული საფასურის განაკვეთი ავტორიზაციის ფარგლებში გათვალისწინებით განისაზღვრება სააგენტოსა და ავტორიზებულ პირს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

**მუხლი 6**  
 საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებულია:

- ა) უძრავ ნივთზე რეგისტრირებული საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაცია – 4 სამუშაო დღის ვადაში;
- ბ) რეგისტრირებულ მონაცემებში ტექნიკური ხარვეზის შესწორება – 1 სამუშაო დღის ვადაში;
- გ) ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის და საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, აგრეთვე მათ სასარგებლოდ დადებული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის წარმოშობის, ცვლილების და შეწყვეტის, სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მოთხოვნით, ტყის ფონდის საზღვრის ცვლილებების, მათ საკუთრებაში არსებული მიწის მიწნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის რეგისტრაცია, საბანკო გარანტიის წარმოშობის და მასში ცვლილების რეგისტრაცია, როდესაც პრინციპალი არის სახელმწიფო, თვითმმართველი ერთეული ან საქართველოს ეროვნული ბანკი, ასევე მათ საკუთრებაში არსებულ ნივთზე (უფლებებზე) ამონაწერის და საკადასტრო გეგმის მომზადება და სარეგისტრაციო წარდგენილ სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის მონაწილეობით დადებულ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დადასტურება;
- დ) რეგისტრირებულ მონაცემებში უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია – 4 სამუშაო დღის ვადაში;

- დ<sup>1</sup>) შეწარმნა და არასამწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია – 1 სამუშაო დღის ვადაში;
- ე) ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საკადასტრო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობისა და რეგისტრირებულ საკადასტრო გირავნობაში/იპოთეკაში ცვლილების და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია – 3 სამუშაო დღის ვადაში;
- ვ) საჯარო დანესებულება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის, გარდა ამონაწერის მომზადებისა;
- ზ) წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამის ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში გადაგზავნა – 3 სამუშაო დღის ვადაში;
- თ) საქართველოს პრეზიდენტის სუბიექტისადან განსაკუთრებული საფუძველზე, პირდაპირი უსასყიდლო გადაცემის ფორმით პრივატიზების შედეგად წარმოშობილი საკუთრების უფლების რეგისტრაცია – 4 სამუშაო დღის ვადაში;
- ი) ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის გარდაცვალებისას, ასევე სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადებისას ან ქმედუწარმად აღიარებისას ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის შეწყვეტა – 1 სამუშაო დღის ვადაში;
- კ) სახელმწიფო, თვითმმართველი ერთეული, საქართველოს ეროვნული ბანკი, აჭარის ან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, იმ შეწარმის ან არასამწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაციის, აგრეთვე ამონაწერის ან ინფორმაციის მომზადების მოთხოვნის შემთხვევაში, რომელშიც იგი წარმოდგენილია პარტნიორის/დამფუძნებლის სახით . საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება ვრცელდება ასევე ამ სუბიექტების მონაწილეობით დადებულ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დადასტურებაზე;
- ლ) შეწარმისა და არასამწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის იურიდიული მისამართის ცვლილების რეგისტრაცია, თუ ის რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე;
- მ) შეწარმისა და არასამწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გადახდისუწარმობის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების დაწყების, შეწყვეტისა და დასრულების რეგისტრაცია, გადახდისუწარმობის საქმის წარმოების მეურვის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველის რეგისტრაცია, გაკოტრების ან რეაბილიტაციის მმართველის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებები, ასევე შეწარმისა და არასამწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმება პარტნიორთა გადაწყვეტილების, გაკოტრების ან სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლოს აქტის საფუძველზე;

6) ამ დანართის მე-2 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება, თუ ის მოთხოვნილია იმავე მუხლის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან ერთად ;

- პ) ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საჯარო- სამართლებრივი შემზღვევის შეწყვეტის რეგისტრაცია – 3 სამუშაო დღის ვადაში;
- ჟ) „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“-„ი“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების შეწყვეტის რეგისტრაცია – 4 სამუშაო დღის ვადაში ;
- რ) სააგენტოს მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის განეული მომსახურება ;
- ს) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ უძრავ ქონებაზე წინასწარი საკუთრების უფლების, მასში ცვლილების და მისი შეწყვეტის რეგისტრაცია – 4 სამუშაო დღის ვადაში ;
- ტ) დაინტერესებული პირისათვის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმის მასალების ელექტრონული ვერსიის გაცემა;
- უ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ან მასში ცვლილების რეგისტრაცია საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სამთავრობო პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, თუ ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული საქართველოს მთავრობის შესაბამის სამართლებრივ აქტში და სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთზე არ არსებობს „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად დაზუსტებული საკადასტრო მონაცემი;
- ფ) ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების საზღვრის დადგენის რეგისტრაცია – 4 სამუშაო დღის ვადაში;
- ქ) ამ დანართის მე-2 მუხლის „პ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება, თუ ის მოთხოვნილია იმავე მუხლის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან ერთად;
- ღ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილზე გირაგანობის უფლების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის 1 სამუშაო დღის ვადაში რეგისტრაცია, თუ ის მოთხოვნილია ამ დანართის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მომსახურებასთან ერთად;
- ყ) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის 1<sup>3</sup> პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვის საფუძველზე ქონების რეგისტრაცია;
- შ) პოლიტიკური პარტიის რეგისტრაცია, მასში ცვლილება და რეგისტრაციის შეწყვეტა;
- ჩ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს განცხადების საფუძველზე მრავალბინიან სახლებზე მიკუთვნილი მიწის ნაკვეთის საზღვრის და მასში ცვლილების რეგისტრაცია – 4 სამუშაო დღის ვადაში;
- ც) სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია, როდესაც პრივატიზება ხორციელდება 100 ლარამდე სიმბოლურ ფასად ;
- ძ ) „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად , სახელმწიფო პროექტის ფარგლებში , მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებისა და მას ში ცვლილების რეგისტრაცია ;
- წ ) მართლმომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში ) არსებულ სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებით საკუთრების უფლების რეგისტრაცია , სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ან მასში ცვლილების რეგისტრაცია , თუ სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთზე არ არსებობს დაზუსტებული საკადასტრო მონაცემი .

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის დადგენილება №29 – ვებგვერდი, 30.01.2012 წ.  
 საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 ივნისის დადგენილება №207 – ვებგვერდი, 14.06.2012წ.  
 საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 ივლისის დადგენილება №251 – ვებგვერდი, 13.07.2012წ.  
 საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 აგვისტოს დადგენილება №328 – ვებგვერდი, 13.08.2012წ.  
 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის დადგენილება №356 – ვებგვერდი, 29.07.2016წ.

**მუხლი 7**

- 1. განმცხადებელს გადახდილი საფასური უკან უბრუნდება, თუ:
  - ა) განმცხადებელმა განაცხადის შეტანამდე მოითხოვა გადახდილი თანხის დაბრუნება;
  - ბ) საფასური გადახდილია ამ დანართით განსაზღვრულ განაკვეთზე მეტი ოდენობით. ამ შემთხვევაში ბრუნდება სხვაობა გადახდილ თანხასა და ამ დანართით განსაზღვრულ განაკვეთს შორის;
  - გ) საფასური გადახდილია ამ დანართის შესაბამისად საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებული პირის მიერ;
  - დ) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია მოთხოვნის იდენტური რეგისტრირებული მონაცემის არსებობა. ამ შემთხვევაში გადახდილი საფასური სრულად ბრუნდება;
  - ე) დაჩქარებული მომსახურება არ განხორციელდა დაინტერესებული პირისაგან დამოუკიდებელი მიზნებით. ამ შემთხვევაში ბრუნდება სხვაობა დაჩქარებული მომსახურებისა და დაჩქარების გარეშე მომსახურების დადგენილ საფასურებს შორის ;
  - ვ) თუ მოთხოვნილია ისეთი მომსახურება, რომლის განვრცად არ განეკუთვნება სააგენტოს კომპეტენციას.
- 2. საფასური ბრუნდება დაინტერესებული პირის მოთხოვნისაგან 10 სამუშაო დღის ვადაში. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას. მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს საფასურის გადახდიდან ერთი თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი საფასური არ ბრუნდება. ამ ვადის გაგრძელება ან გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.
- 3. სააგენტოს მიერ განეული მომსახურებისათვის გადახდილი საფასური არ ბრუნდება, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. 28/07/2016 - საქართველოს მთავრობის დადგენილება - 356 - ვებგვერდი, 29/07/2016 (/ka/document/view/3355259)
4. 10/08/2012 - საქართველოს მთავრობის დადგენილება - 328 - ვებგვერდი, 13/08/2012 (/ka/document/view/1724650)
3. 12/07/2012 - საქართველოს მთავრობის დადგენილება - 251 - ვებგვერდი, 13/07/2012 (/ka/document/view/1699006)
2. 08/06/2012 - საქართველოს მთავრობის დადგენილება - 207 - ვებგვერდი, 14/06/2012 (/ka/document/view/1675462)
1. 24/01/2012 - საქართველოს მთავრობის დადგენილება - 29 - ვებგვერდი, 30/01/2012 (/ka/document/view/1570366)